ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N6

30.01.2026 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**
10:00 საათი **ოთახი 3-01**

მიმდინარე წლის 30 იანვარს, 10:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **ალექსანდრე მუკათარიძე** (კომისიის წევრი), **მამუკა ხაბარელი** (კომისიის წევრი), **დავით ხაბეიშვილი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი) და **დავით ფანჯაკიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 9 (ცხრა) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი წერილი #12-03260288-03, 28.01.2026წ.).
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შემავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები ხორციელდება გარდამავალი ნაშთის ასახვის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი შეადგენს 273 860,1 ათას ლარს, გარდა ამისა სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენს 22 560,0 ათას ლარს, მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადი გახლავთ 5 000,0 ათასი ლარი, ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა შეადგენს 17 560,0 ათას ლარს. წარმოდგენილი ცვლილებით ბიუჯეტის მოცულობა ჯამში იზრდება 296 420,1 ათასი ლარით და შეადგენს 2 506 978,3 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ აქედან 190 000,0 ათასი ლარი არის 2025 წელს გადაჭარბებული შემოსავლებიდან მიღებული თანხა. ასევე, ბიუჯეტში ასახულია გარდამავალი პროექტების ნაშთი, როგორც არაერთი ახალი პროექტი და მიმართულება, რომელსაც მიმდინარე წელს დავაფინანსებთ. დეტალურად, რომ განვიხილოთ ცვლილებები, მრავალწლიანი პროექტების ჩამონათვალი შემდეგია: ახალგაზრდული ღონისძიებების ნაწილში ვერის კორტებისათვის გამოყენებული იქნა დიღმის მასივის სპორტული კომპლექსის თანხა 1 800,0 ათასი ლარი, რომელიც ბრუნდება უკან პროგრამაში. ახალგაზრდული ღონისძიებების ნაწილში დგებუაძის ქუჩაზე ახალგაზრდული კომპლექსის შენობის რემონტია გათვალისწინებული 432,0 ათასი ლარით. ვარკეთილის მრავალფუნქციურ სპორტულ ცენტრში მოედნის მშენებლობა 400,0 ათასი ლარი**,** სადგურის მოედნისა და ცოტნე დადიანის შემაკავშირებელი ხიდის საპროექტო-აღდგენითი სამუშაოები 1 491,0 ათასი ლარი**,** ბოტანიკურ ბაღში მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 984,0 ათასი ლარი, რომლის დასრულება წინა წელს ვერ მოესწრო. ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე წყლის საქაჩი სისტემისათვის 236,0 ათასი ლარი, გლდანში ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა ვერ დასრულდა წინა წელს და ამ მიმართულებას ემატება 861,0 ათასი ლარი. სხვა კონტრაქტები, რომელთა უმრავლესობაც გარდამავალი იყო, ხოლო ზოგიერთი ნაწილობრივი შეუსრულებლობის გამო გადმოდის მიმდინარე 2026 წელს, **ესენია:** ქსელის მშენებლობისა და აღდგენისთვის ზოგადი კონტრაქტები 1 490,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-აღდგენის მიმდინარე სამუშაოები 847,0 ათასი ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება 3 437,0 ათასი ლარი, საპროექტო საძიებო და კვლევით სამუშაოებზე 350,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციისათვის განსაზღვრულია 752,0 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა 110,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები 387,0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები 1 536,0 ათასი ლარი, სამხედრო ქალაქში პარკის მოწყობა 800,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციაზე კონტრაქტით გათვალისწინებულია 6 606,0 ათასი ლარი. ბიზნესის სტიმულირების ახალი პროგრამა, რომელიც გასულ წელს დავიწყეთ, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე წელს განსაზღვრულია 349,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია 1 800,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 5 300,0 ათასი ლარი, აქ საციგურაო მოედნის პროექტირება, აეროპორტის დასახლებაში ჭიდაობის დარბაზის მოწყობა და ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის რემონტია გათვალისწინებული. ასევე გადმოდის ბაღების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის გარდამავალი თანხები, ჯამში 16 452,0 ათასი ლარი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - შალვა სუთიაშვილი, ალექსანდრე მუკათარიძე, მამუკა ხაბარელი, დავით ხაბეიშვილი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე - (8),

თავი შეიკავა - დავით ფანჯაკიძე - (1),

წინააღმდეგი - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი